საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1134

23/07/2021

ქ. თბილისი

„ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს მდ. ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 ივნისის N 2-939 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში მდ. ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც 2021 წლის 25 ივნისის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-939 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №29 (10.06.2021).

სკოპინგის დასკვნის დასკვნით ნაწილში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს ნაცვლად, მითითებულია შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია".

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს მდ. ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 ივნისის N 2-939 ბრძანებით გაცემული სკოპინგის დასკვნის (№29 10.06.2021) დასკვნითი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს მიერ წარმოდგენილ ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, მდ.

ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი/შესასწავლი ინფორმაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით;

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი